



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2011 წლის 12 იანვრის
383 დადგენილებით

მშენებლობის ტექნიკოსი - 040651
Builder-Technician
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

I. პროფესიული პროგრამის სახელწოდება: მშენებლობის ტექნიკოსი.

II. პროფესიული განათლების საფეხური: მეოთხე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მშენებლობის მწარმოებლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი (1 კრედიტი - 25სთ) სულ 1500 საათი,

აქედან:

35 კრედიტი (880 საათი) სასწავლო კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი-495; დამოუკიდებელი 305, შუალედური/დასკვნითი შეფასება - 80)

25 კრედიტი (620 საათი) პრაქტიკის კომპონენტისთვის (საკონტაქტო საათი - 620;) შეფასების საათი - 80

V. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: მეოთხე საფეხურზე დაიშვებიან პირები ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგებისა და პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.

VI. პროფესიული პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სამოქალაქო მშენებლობის მეოთხე საფეხურის მშენებელ-მწარმოებელი, რომელსაც შეუძლია:

სამშენებლო კონსტრუქციული ელემენტების ზომების დადგენა, გაანგარიშება სიმტკიცეზე და მდგრადობაზე;

შეცვალოს სამშენებლო მოედანზე არსებული სამუშაო პროცესი;

გამოიყენოს მათემატიკური გამოთვლების შედეგები და დაადგინოს საძირკვლის ფორმა,მისი ფართობი და ჩაღრმავება.

მოწოდებული საშენი მასალებისა და ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი საბუთების შედარება-შემოწმება საპროექტო მონაცემებთან.

სამუშაოთა პროცესებში ჩართული ჯგუფის, ბრიგადის მართვა და უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლი.

გრუნტის დათვალიერება და მონაცემების ნორმებთან შედარება; ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვა და მისი წარმოების ხარისხის განსაზღვრა.

VII. სწავლის შედეგი:

მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით:

ცოდნა და გაცნობიერება	იცის: მასალის, ნაკეთობისა და კონსტრუქციული ელემენტების ადგილზე გამოყენებისა და მათი დასაწყობების სპეციფიკა მოედანზე; კონსტრუქციული ელემენტების თეორიული გაანგარიშება სიმტკიცეზე და მდგრადობაზე; კონსტრუქციული ელემენტის საორიენტაციო ზომების დადგენა და ადარებს სამშენებლო მოედანზე არსებულს. აცნობიერებს: სამშენებლო ნორმების მონაცემების მნიშვნელობას მარტივი ხელსაწყო-იარაღებითა მონაცემებით შეუძლია მოახდინოს გრუნტის დათვალიერება. წინასწარ განსაზღვროს სამშენებლო პროცესის ხანგრძლივობა და საჭირო მუშათა რაოდენობა.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია: კორექტივები შეიტანოს სამშენებლო მოედანზე მიმდინარე სამუშაო პროცესში; გამოიყენოს მათემატიკური გამოთვლების შედეგები და დაადგინოს სამირკვლის ფორმა, მისი ფართობი და ჩაღრმავება. მოწოდებული საშენი მასალებისა და ნაკეთობების ხარისხის დამადასტურებელი საბუთების შედარება-შემოწმება. სამუშაოთა პროცესებში ჩართული ჯგუფის, ბრიგადის მართვა და უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე კონტროლი.
დასკვნის გაკეთების უნარი	შეუძლია: მის მიერ ჩატარებული თეორიული გამოთვლების შედეგების საფუძველზე შეცვალოს სამშენებლო ნორმებით დასაშვები მასალის სიმტკიცის მახასიათებლები, დაასაბუთოს და გააკეთოს დასკვნა და წარადგინოს მისე-ული ხედა ანგარიშის ან ინფორმაციის სახით.
კომუნიკაციის უნარი	აქვს უნარი: სხვადასხვა სიტუაციებში მშენებლობის პროცესის უწყვეტი წარმართვისათვის გამოიყენოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. აქვს უნარი ინგლისურ ენაზე მარტივი კომუნიკაციის.
სწავლის უნარი	შეუძლია: მისი პროფესიული ცოდნის შემდგომი განვითარების მიმართულების განსაზღვრა; უახლოესი ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და დამოუკიდებელი პროფესიული დასკვნის გაკეთება.
ღირებულებები	შეუძლია: საქმიანი დამოკიდებულება ხელმძღვანელებსა და კოლეგებთან. გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვა და საქმიანი ურთიერთობების მართვა. მოქმედებს სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და პროფესიული ეთიკის ფარგლებში.

VII. სწავლის შედეგების რუქა

საგნები	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
მეწარმეობის საფუძვლები	X	X	X			
ინგლისური ენა	X	X		X		
ინფორმატიკა	X	X		X		
ხისა და პლასტმასის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები	X	X	X			

წარმოების დაგეგვმა და მართვა	X	X		X		X
ლითონის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები	X	X				
ქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები	X	X	X			
მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია	X	X		X		X
ტექნიკური მექანიკა	X	X				
მასალათა გამძლეობა	X	X	X			
შენობა-ნაგებობათა ფუძე-სამირკველები	X	X				

IX. სასწავლო გეგმა

I სემესტრი

ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა					დამოუკიდებელი საათები	სულ საათების რაოდენობა
		საკონტაქტო საათები						
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
მეწარმეობის საფუძვლები	5	30/30				8	57	125
ინგლისური ენა I	5	/60				8	57	125
ინფორმატიკა I	5	/60				8	57	125
ხისა და პლასტმასის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები	6	30/15		72		8	25	150
ტექნიკური მექანიკა	3	15/15		30		8	7	75
ლითონის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები	6	30/15			77	8	20	150
სულ	30	300		138	77	48	187	750

II სემესტრი

	ა დ	ს ა ა თ ე ბ ი ს გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა	ს ე მ
--	-----	-------------------------------------	-------

		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
		ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია	10	30/30		45	105	8	32	250
წარმოების დაგეგმვა და მართვა	10	30/30		45	90	8	47	250
ქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები	7	30/15		30	60	8	32	175
შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები	3	15/15		30		8	7	75
სულ	30	195		150	255	32	118	750

შენიშვნა:

სასწავლო სემესტრი 20 კვირიანია:

15 კვირა სასწავლო პროცესისათვის, 3 კვირა შუალედური შეფასებებისათვის, 2 კვირა გამოცდისათვის და განმეორებითი გამოცდისათვის.

მე -18 კვირა III შუალედური შეფასებისათვის;

მე-19 კვირა გამოცდისათვის, მე-20 კვირა განმეორებითი გამოცდისათვის (აუცილებელი 10 დღიანი ინტერვალის დაცვით).

თითოეულ საგანში შეფასებებისათვის განკუთვნილი დრო - 8 საათი.

1. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და არა აქვთ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

გამოცდა - 2 სთ. თეორია;

2. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია) და მხოლოდ სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკა);

3. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ თეორია (ლექცია/პრაქტიკული/ლაბორატორია), სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. თეორია;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

გამოცდა - 2 სთ. (1 სთ.თეორია, 1 სთ. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

4. საგნებისთვის, რომელთაც აქვთ მხოლოდ სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა:

I შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

II შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

III შუალედური შეფასება - 2 სთ. სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკა;

გამოცდა - 2 სთ. (სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა);

X. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

ლექციაზე დასწრებას;

- პრაქტიკულ მეცადინეობას;
- დამოუკიდებელ მეცადინეობას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- საწარმოო პრაქტიკას;
- გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას.

XI. პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

დადებით შეფასებას ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

შეფასების ფორმა:

- შუალედური შეფასება
- დასკვნითი გამოცდის შეფასება

შეფასების მეთოდი:

- ტესტირება
- ზეპირი გამოკითხვა
- ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი

XII. სწავლების ფორმები:

თეორიული სწავლება;

პრაქტიკული სწავლება;

საწარმოო პრაქტიკა;

სასწავლო პრაქტიკა.

სწავლის მეთოდები:

ინტერაქტიული სწავლება; ჯგუფური მუშაობა; სწავლების დედუქციური მეთოდი; ახსნაგანმარტებითი მეთოდი; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდი.

XIII. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კურსი/მოდული /საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
----------------------	---------------	--------------

ინგლისური	თამარ ლოლუა	მასწავლებელი
მეწარმეობის საფუძვლები	დავით ბაქრაძე	მასწავლებელი
ინფორმატიკა	ლაურა შავერდაშვილი	მასწავლებელი
ხისა და პლასტმასის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები	ლალი ვერულაშვილი; ლია ბალანჩივაძე; ომარ ხაზარაძე	დოქტორი დოქტორი დოქტორი
ლითონის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები	ლალი ვერულაშვილი; ლია ბალანჩივაძე; ომარ ხაზარაძე	დოქტორი დოქტორი დოქტორი
ქვისა და რკინაბეტონის კონსტრუქციების გაანგარიშების საფუძვლები	ლალი ვერულაშვილი; ლია ბალანჩივაძე; ომარ ხაზარაძე	დოქტორი დოქტორი დოქტორი
მშენებლობის წარმოების ტექნოლოგია	შახი ბაქანიძე	დოქტორი
წარმოების დაგეგმვა და მართვა	ჯემალ ჩოგოვაძე	დოქტორი
ტექნიკური მექანიკა	იოსებ კაკუტაშვილი	დოქტორი
შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები	ვიქტორ ჯაფარიძე	დოქტორი

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო მშენებლობის პროფესიული სწავლებისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
I კორპუსი. V სართული 505^ბ.

XV. საწარმოო სწავლება/საწარმოო პრაქტიკა

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება:

შ.პ.ს. "ზიმო" -ხელშეკრულება № 288-2012-2 03. 07.2012წ.

იხ. დანართი

XVI . სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მეოთხე საფეხურის მშენებლობის ტექნიკოსის პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა გააგრძელოს სწავლა მშენებლობის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროგრამით.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

აგული სოხაძე
ლია ბალანჩივაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

მარინა ჯავახიშვილი

ფაკულტეტის დეკანი

ზურაბ გედენიძე

მიღებულია

სამშენებლო

ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
24 აპრილი 2012 წ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ზურაბ გედენიძე

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურთან